



კლიტე დავითისი

„და ანგელოზსა ფილანდელფისა ეკლესიისასა მიუწერე: ამას იტყჳს წმიდაჲ და ჭეშმარიტი, რომელსა აქუს კლიტე დავითისი, რომელი-იგი განაღებს, და არავინ დაჰკჳს, გარნა განმღებელმან მან, და არავინ განაღოს დაჰშული იგი.“

(გამოცხ. 3.7)

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ყოველთვიური გაზეთი

გაზეთი „კლიტე დავითისი“ 2021 წლის ოქტომბერი

ნომერში გამოქვეყნებულია:

- სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავი პარაკლისი სიონის საკათედრო ტაძარში.
- წარმატებული მისაღები გამოცდები.
- ჟურნალისტ თამთა გრიგალაშვილის ინტერვიუ პირველკურსელებთან, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს მისაღები გამოცდები

ზმა ერიდან:

- თეა დარჩია - მისი ყურადღება და მზრუნველი სიტბო დღესაც მამშვიდებს
- თინათინ ყალიჩავა - მან მამულის სიყვარული გვასწავლა

საღვთისმეტყველო წერილები:

- ირაკლი ორჟონია - „ქართლის ცხოვრებაში დაცული ერთი საკვირველი ცნობის მართებულად გააზრებისთვის“
- გამოთხოვება დავით დვალაძესთან
- ღია სალაყაიას ხსოვნა

სწავლის დაწყების აღსანიშნავი პარაკლისი სიონის საკათედრო ტაძარში



2021 წლის 14 სექტემბერს საეკლესიო ახალი წლის ინდიქტიონის დადგომასა და თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით სიონის საკათედრო ტაძარში პარაკლისი აღევლინა. მსახურება შეასრულა პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ სიონის სამღვდლოებასთან ერთად. მან სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს მიულოცა საეკლესიო ახალი წლის ინდიქტიონისა და სასწავლო წლის დაწყება. აღნიშნა, რომ მიუხედავად დისტანციური სწავლებისა, ღვთის შეწევნით შესაძლებელი გახდა სასწავლო წლის პირველ დღეს სტუდენტთა, პირველკურსელთა და პროფესორ-მასწავლებელთა შეხვედრა-შეკრება და სიყვარულითა და იმედით ურთიერთმოკითხვა. რომ სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში სწავლა დიდი პასუხისმგებლობაა, რადგან საღვთისმეტყველო ცოდნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხისთვის, სახელმწიფოსთვის. სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში უმნიშვნელოვანესი და უპირველესი მოვალეობაა მართლმადიდებლობის უმწიკვლოდ დაცვა, რაც ზედმიწევნით გააზრებული აქვს სასწავლებლის აკადემიურ საბჭოს, თითოეულ პედაგოგსა და თანამშრომელს. თბილისის სასულიერო აკადემია უწმინდისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ძალისხმევით დაარსდა და ეს კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას გვანიჭებს. ჩვენთვის უდიდესი ღირსებაა, რომ ვართ ერთგულნი და მოწიწებით ვდგავართ ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობლის გვერდით.

ასმათ ჯიქია

წარმატებული გამოცდები

თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში 2021-2022 სასწავლო წლის მისაღები გამოცდები, ქვეყანაში არსებული ეპიდ-სიტუაციიდან გამომდინარე, განსხვავებული ფორმით ჩატარდა. წინა წლებში ტრადიციულად აბიტურიენტთა საბუთებს შესაბამისი კომისია იღებდა სასწავლებლის შენობაში, სადაც დაცული იყო პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციები, თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის რექტორის, პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძის ლოცვა-კურთხევით წელს აბიტურიენტებს შევთავაზეთ დისტანციური მეთოდით საბუთების შემოტანა.

საგულისხმოა გამოცდების ფართო მასშტაბი - აბიტურიენტები იყვნენ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან, ხოლო რექტორის ამ გადაწყვეტილებამ მათ გაუადვილა მისაღებ გამოცდებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წელს მისაღები გამოცდები არატრადიციული ფორმით, ანუ ონლაინ რეჟიმში ჩავატარეთ. ეს იყო გამოწვევა სასწავლებლისთვის, რომელიც წარმატებით იქნა დაძლეული.

საგამოცდო მიმღები კომისიის შეუფერხებელი მუშაობა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მიმღები კომისიის თავმჯდომარეს, სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პრორექტორს სასწავლო და ადმინისტრაციულ დარგში, დეკანოზ ბესარიონ ცინცაძეს მხარში ედგნენ ფაკულტეტების ხელმძღვანელები და მათი თანაშემწეები, საგნობრივი კომისიების წევრები და როგორც მისაღები საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის თანაშემწეს, შემიძლია ხაზგასმით ავლნიშნო დეკანოზ იაკობ ჩიჩილიძის მხარდაჭერა.

დაულალავი და კოორდინირებული შრომის შედეგად დავარეგისტრირეთ 105 აბიტურიენტი, რომელთაგანაც 98-მა დადებითი შეფასება მიიღო. მინდა ყველა თანამშრომელს, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა არადისტანციური და დისტანციური ფორმით საბუთების მიღებაში, ასევე ონლაინ გამოცდების ორგანიზებულად ჩატარებაში გადავუხადო უღრმესი მადლობა.

მინდა ასევე მივულოცო ყველა პირველკურსელს სწავლის დაწყება, რომელთა უმრავლესობამ ცოდნის მაღალი დონე წარმოაჩინა მისაღები გამოცდების დროს. სასიხარულოა, რომ სრულიად დაკომპლექტდა სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამებზე სასწავლო ჯგუფები და თბილისის სასულიერო აკადემიამ და სემინარიამ საიმედო და პერსპექტიული შევსება მიიღო.

ნუგზარ სამხარაძე,

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საფინანსო-სამეურნეო სამსახურის უფროსი

ჟურნალისტ თამთა გრიგალაშვილის ინტერვიუ პირველკურსელებთან, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს მისაღები გამოცდები.

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი გიორგი გვანცელაძე

41 წლის ასაკში თბილისის სასულიერო აკადემიის საღვთისმეტყველო ფაკულტეტზე მისაღები გამოცდები ჩავაბარე და სტუდენტი გავხდი. მანამდე ოთხი წელი სემინარიაში ვსწავლობდი, რომელიც შარშან დავამთავრე. აქ გატარებულმა წლებმა, სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში დამკვიდრებულმა სწავლების მაღალხარისხოვანმა პროცესმა მომცა საშუალება წარმატებით დამემძლია მისაღები გამოცდები.

ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურებაში გავატარე და მომავალში აქ მიღებული სამაგისტრო ცოდნა დამეხმარება მრევლთან სრულყოფილ ურთიერთობაში.

2007 წლამდე, სანამ აღმსარებელი და მაზიარებელი გავხდებოდი, საინტერესო და შინაარსიანი საქმიანობით ვიყავი დაკავებული - თბილისის 143-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განვაგრძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო ეკონომიკის ფაკულტეტზე, მესამე კურსის დასრულების შემდეგ ოჯახური პირობების გამო საზღვარგარეთ წავედი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ვმუშაობდი კერძო სექტორში, ვიყავი სამშენებლო შ.პ.ს. „ნილუს“ გენერალური დირექტორი. ამ პერიოდში დავოჯახდი და ჩემს ორ ვაჟს, ნიკოლოზს და ლუკას, რომლებიც უკვე სტუდენტები არიან, სამშობლოს პატრიოტებად ვზრდი.

ჩემი ცხოვრების შემდგომი წლები მთლიანად სასულიერო მოღვაწეობით არის აღბეჭდილი. ვიყავი წმინდა კოზმა და დამიანეს სახელობის ტაძრის მედავითნე. ჩემს გაწვრთნაში დიდი როლი მიუძღვის მედავითნე რევაზ ნაჭყებიას, შემდგომ ვმსახურობდი წმინდა მკურნალ პანტელეიმონის სახელობის ტაძარში. ამჟამად, უკვე მეექვსე წელია, დიდმის წმინდა ნიკოლოზის სახელობის მამათა მონასტრის მედავითნე ვარ.

სწავლა სიბერემდეო, ამბობს ქართული ანდაზა, რომლის სიმართლაც ჩემს მაგალითზეც ხმიანდება. მელოდება სასულიერო აკადემიაში შინაარსიანი სწავლის მომავალი სამი წელი.

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი ჯუმბერ თომამე

თბილისის სასულიერო აკადემიაში გამოცდების ჩაბარება ჩემი ცხოვრების დასაწყისის ლოგიკური გაგრძელებაა. სკოლის ასაკიდანვე ვფიქრობდი სასულიერო სასწავლებელში განათლების დაუფლებას.

საჯარო სკოლა რომ დავამთავრე, 2017 წელს, იმავე წელს თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტი გავხდი. 2021 წელს, როდესაც სემინარია დავასრულე, სურვილი მქონდა, სწავლა მაგისტრატურაში გამეგრძელებინა. ვფიქრობ, რომ აკადემია იქნება ჩემი განსწავლის დამამშვენებელი გვირგვინი, მე აქამდე მიმიყვანა სემინარიაში გატარებულმა წლებმა. მახსენდება წმიდა ილია მართალის სიტყვები: „ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული... ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინში და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდეც ის კვირტია, რომელიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძალყურძენაცა. ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთაქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა“. ვფიქრობ, რომ ეს სიტყვები თანამგზავრი უნდა იყოს ყველა სტუდენტისა. ეს ხომ გასაღებია, რომელიც ახალ კარს აღებს თითოეული სტუდენტის ცხოვრებაში.

გაგაცნობთ ჩემი ბიოგრაფიის რამდენიმე ეპიზოდს. 10 წლის ასაკში მამა რომ გარდამეცვლა, დედაჩემი ბავშვობიდან მასწავლიდა ლოცვას. მახსენდება ბაღის მასწავლებელი, რომელიც ჩვენს სულიერ განვითარებაზე ზრუნავდა, ყოველ დღე გვიკითხავდა წმიდა წერილს და ყოველი აღდგომის დღესასწაულზე დავყავდით წმიდა ალექსანდრე ნეველის ტაძარში. მახსოვს პირველი ზიარებაც, თუმცა მაშინ ჯერ კიდეც პატარა ვიყავი, მაგრამ ის წუთები არასდროს დამავიწყდება და არც ის განცდა, რაც პირველი ზიარებისას დამეუფლა. შემდეგ, როდესაც საბურთალოს ქუჩაზე აშენდა წმიდა ანტონ მარტყოფელის ტაძარი და მეც წამოვიზარდე, გავხდი ამ ტაძრის მრევლი. სემინარიაში ჩაბარებამდე დალოცვა ვთხოვე დედას და კურთხევა ვითხოვე ჩემი მოძღვრის, დეკანოზ ანტონისგან (ბეჟანიშვილი). როდესაც დედას ჩემი გადაწყვეტილება ვაცნობე, ძალიან გაუხარდა. ახლაც თვალწინ მიდგას,, ბავშვობაში, როგორ მამხელდა ხოლმე დედა, როდესაც ვზარმაცობდი და მსახურებას ვაცდენდი. თბილისის სასულიერო აკადემიაში სწავლის გაგრძელების შემდეგ, სული, როგორც მწყურვალე ირემი წყაროს, ისე დაეწაფა საღვთისმეტყველო განათლების მიღების სურვილს.

ყოველთვის მქონდა იმის განცდა, რომ თუ სასულიერო აკადემიაში არ ჩავაბარებდი, ჩემი სტუდენტობა სრულყოფილი არ იქნებოდა.

დიდი მადლობა ჩვენს უწმინდესაა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს, სტუდენტებისადმი თბილი და მამობრივი მზრუნველობისათვის, ჩვენს რექტორს, მამა გიორგი ზვიადაძეს, სემინარიასა და აკადემიაში მოღვაწე მამებს, პროფესორებსა და ლექტორებს, თითოეული მათგანი გამოირჩევა აკადემიური ცოდნითა და სიყვარულით ამ სასწავლებლისა და სტუდენტების მიმართ.

არ მგონია, რომ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდებისადმი ასეთი სითბო და კეთილგანწყობა იგრძნობოდეს, როგორც აქ სუფევს. როდესაც სასულიერო აკადემიის შენობიდან გამოდიხარ, პირველი, რაც თვალში გხვდება, არის სიონის დიდებული ტაძარი, იგი თავის მადლს ჰფენს მასთან მდებარე თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიას. სიონის დიდებულება, იმედიითა და სულიერი სიმშვიდით გავსებს და გრძნობ, რომ სულიწმიდის მადლი ამ ტაძრიდან უხვად მიემადლება ყველა მორწმუნე მართლმადიდებელ ქრისტიანს. თითოეულ სტუდენტს ვუსურვებ წარმატებას, წინსვლასა და განვითარებას, ჩვენ ხომ იმედით შემოგვყურებს მამათა თაობა.

სასულიერო სემინარიის სტუდენტი საბა ჯავახიშვილი

ტრადიციულ ქართულ, მართლმადიდებლურ ოჯახში გავიზარდე.მყავს. წელს დავამთავრე დიდი დიღმის 186-ე საჯარო სკოლა.

ჩემი მომავალი მოძღვარი გამაცნო ბიძამ, რომელმაც გათვითცნობიერებულად მიმიყვანა ტაძარში, რის შემდეგაც დაიწყო ჩემი სულიერი ცხოვრება. ეკლესიაში მივედი 15 წლის ასაკში, 2019 წლის დასაწყისში, ვესწრებოდი წირვა-ლოცვებს, იმავე წლის თებერვალში შემოსეს სტიქართ, რაც ჩემი ცხოვრების ახალი შინაარსის ერთ-ერთი საწყისი ნაბიჯი იყო. დავიწყე ტაძარში მსახურება,უფროსი თაობის გაცნობა, ეს საკვირველი რამ იყო, რადგანაც სწორედ ამ ურთიერთობამ შეცვალა ჩემი დამოკიდებულება გარშემომყოფთა მიმართ-გამიჩნდა სიყვარულის გრძნობა „უცხო“ ადამიანებისადმიც. რაც დრო გადიოდა, თანდათან იცვლებოდა ჩემი მსოფლმხედველობა და სულიერი ზრდაც მიმდინარეობდა. გავიარე მედავითნეობის სრული კურსი და წლის ბოლოს გავხდი ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის სრულფასოვანი მედავითნე.

თუმცა წელსვე ეროვნული გამოცდებით ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ამას ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონია, რადგანაც უკვე მტკიცედ გადაწყვეტილი მქონდა სასულიერო სემინარიაში მოსვლა. ეს არჩევანი კი განაპირობა ამაჟამინდელი ჩემი სულიერი მამის-დეკანოზ ვახტანგ სარდლიშვილის ჭეშმარიტი მღვდლობისა და დიდსულოვნების მაგალითმა, გარშემო მყოფი ხალხის სიყვარულმა და ღვთის ნებაზე მინდობის ჩემმა სურვილმა.

დღევანდელი გადმოსახედიდან, ჭეშმარიტად ვხედავ, რომ არა ღვთის შეწევნა ეკლესიაში სიარულისა, ჩემი სულიერი მამის უანგარო თანადგომა და სიყვარული და სხვა უამრავი მცირედი თუ დიდი ფაქტორი, დღეს სრულიად სხვანაირი ადამიანი ვიქნებოდი. აქედან გამომდინარე, ჩემი სამომავლო ცხოვრების მიზანიც ესაა:გამოვხატო მაღლიერება ღვთის მიმართ ჩემი ცხოვრებითა და სულიერი მოღვაწეობით, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირმა.

სასულიერო სემინარიის სტუდენტი ლუკა სიმონიშვილი

წელს დავამთავრე თბილისის 63-ე საჯარო სკოლა. ექვსი წელი ვცეკვავდი „სუბიშვილების“ სკოლა-სტუდიაში, ანსამბლ „ფაზისში“. ჩვენი ანსამბლი წარმატებული იყო როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთაც.

მეათე კლასიდან მქონდა გადაწყვეტილი თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში შესწავლა. წარმატებით ჩავაბარე ერთიანი ეროვნული და მისაღები გამოცდები, მომეცა საშუალება, სწავლა გამეგრძელებინა ისეთ საღვთისმეტყველო სასწავლებელში, როგორც არის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია. ჩემი საეკლესიო ცხოვრება კი ექვსი წლის ასაკიდან დაიწყო, როდესაც დედამ მიმიყვანა ტაძარში. სწორედ ამ ასაკში ჩავაბარე მოძღვარს პირველი აღსარება და, აქედან მოყოლებული, ვარ აღმსარებელი და მაზიარებელი. ჩემი პირველი მოძღვარი იყო ილუმენი იოანე (ტოგონიძე) და სწორედ მამა იოანემ შემომსა სტიქარით ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში, თეთრიწყაროს რაიონის სოფელ წყლულეთში. მაშინ 8 წლის ვიყავი, დაახლოებით ერთი წელი ვიმსახურე იქ, შემდგომ ვმსახურობდი წმინდა არჩილ და ლუარსაბის სახელობის ტაძარში... ახლა კი დღემდე ვმსახურობ სანჯონის წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ტაძარში, დეკანოზ იოსებთან (ჩერგოლეიშვილი). ამჟამად ჩემი მოძღვარია მღვდელი რომანოზი (გამცემლიძე), სწორედ მისი რეკომენდაციით ჩავაბარე სასულიერო სემინარიაში.

ჩემი სამომავლო გეგმები ასეთია: მე ჯერ მხოლოდ 18 წლის ვარ და ვაპირებ, დავასრულო მაგისტრატურა - დოქტორანტურა და მაქვს სურვილი გავხდე ლექტორი. რაც შეეხება მღვდლობას, ბევრს უთქვამს ჩემთვის, რომ ღმერთი გადაწყვეტს ჩემს მღვდლობა-არმღვდლობას... დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, სწავლას შევუდექით დისტანციურად, თუმცა, ამ ყოველივეს არ შეუშლია ხელი უკეთ გამეცნო ჯგუფელები და დავმეგობრებულებიყავით. სემინარიაში კარგი პედაგოგები და მოძღვრები გვყავს. თუმცა, ერთი თვეც არ არის, რაც სწავლა დაიწყო, ამ მცირე პერიოდში ბევრი რამ გავიგე და დავრწმუნდი, რომ სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში ადამიანი არა მარტო საღვთისმეტყველო განათლებას იღებს, არამედ სწავლობს ცხოვრებას.

ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი

ჟასმინ ლომიძე

მე, ჟასმინ ლომიძე, დავიბადე და გავიზარდე გერმანიის ქალაქ ჰერფორდში. საქართველოში ყოფნას მხოლოდ არდადეგების დროს ვახერხებდი. ვარ მონათლული გვანცად თბილისის ანჩისხატის ტაძარში. ბავშვობიდანვე აღფთოვანებას იწვევდა ჩემში ქართული კულტურა-ტრადიცია და ყოველთვის მიყვარდა საქართველო როგორც ჩემისამშობლო.

გერმანიაში ხშირად ვსტუმრობდი 1990 წელს დაარსებულ გერმანულ-მართლმადიდებლურ მამათა მონასტერს, სადაც ახლა უკვე ხუთი ბერი მოღვაწეობს, რომლებიც უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით არიან ქართული ეკლესიის მიმართ განწყობილი.

ჩემი სულიერი მოძღვარი არის მამა მირიანი (მიქაძე), იგი ბრწყინვალედ ფლობს გერმანულ ენას; მას მოქცეული და მართლმადიდებლურად მონათლული ჰყავს ჩემი რამდენიმე გერმანელი მეგობარი.

ვსწავლობდი 1540 წელს დაარსებულ ფრიდრიხის სახელობის გიმნაზიაში, რომელიც აღიარებულია ერთ-ერთ უძველეს და ტრადიციულ გიმნაზიად გერმანულენოვან ქვეყნებში. თუმცა როგორც მრავალმა სხვამ, ჩემმა სკოლამაც ქრისტიანული ღირებულებები გაცვალა მცდარ პოსტ-მოდერნულ შეხედულებებში. მიუხედავად იმისა, რომ სკოლებში საგანი რელიგია პირველი კლასიდანვე ისწავლება (როგორც კათოლიკური, ასევე ევანგელისტური), ახალგაზრდობა ქრისტიანულ განათლებას ვერ იღებს - სამწუხაროდ პირიქით, ანტიქრისტიანულ ღირებულებებს ითვისებს და წლების განმავლობაში ხდება მსხვერპლი დემორალიზაციის პროცესისა.

ამიტომ თავს ვხედავდი ღირებულებების კონფლიქტში და განათლების მიღება ჩემთვის იქცა ინდოქტრინაციის წინააღმდეგ თავის გატანად, რაც მრავალჯერ მაღალი შეფასების ან სტატუსის დათმობის ფასად დამიჯდა.

აბიტურის მოპოვების შემდეგ, სწავლა გავაგრძელე ქალაქ ბილეფელდის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, დამოუკიდებელი აზროვნების და ფილოსოფიური სწვლებების შეძენის იმედით. რეალურად უნივერსიტეტი ჩემთვის აღმოჩნდა სკოლაში მიღებული გამოცდილების შემდეგი ეტაპი.

ფსევდო-ქრისტიანულ გარემოში, თვალნათლად დავინახე ევროპული განათლების სისტემის გადაგვარება, რაც საბოლოოდ ჩემი საქართველოში დაბრუნების მიზეზი გახდა.

თბილისის სასულიერო სემინარია ჩემთვის წარმოადგენს ნათელ წერტილს, რომელიც ჭეშმარიტი განათლების მიღების საშუალებას იძლევა და დარწმუნებული ვარ, რომ მე, როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანს, კიდევ მეტად განმამტკიცებს სულიერად და პიროვნულად.

მისაღები გამოცდების ჩაბარების დროს, ჩემი ოცნება მხოლოდ მინიმალური ზღვრის გადალახვა იყო, რათა სემინარიაში სწავლის უფლება მიმეღო. რა თქმა უნდა, ვერასდროს ვიოცნებებდი უმაღლესი ქულების მიღებაზე. მჯერა, რომ ღმერთმა ჩემი გულწრფელი სურვილი და დედის ლოცვა ყურად იღო და დამეხმარა.

ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი ნინო გელიაძე

დავიბადე და გავიზარდე დუშეთში, აქვე დავამთავრე პირველი საჯარო სკოლა. მადლობელი ვარ ჩემი მასწავლებლებისა , რომლებმაც კეთილი და ეროვნული შინაარსის საძირკველი ჩაუყარეს ჩემს მსოფლმხედველობას.

სასკოლო საგნებიდან განსაკუთრებულად მიყვარდა ქართული ენა და ლიტერატურა, რელიგია და ხელოვნება. ბუნებასთან მჭიდრო სულიერმა და ფიზიკურმა კავშირმა ჩემი , როგორც პიროვნების, სული გააფაქიზა და ჩამომიყალიბა მშვენიერების განსაკუთრებულად ძლიერი აღქმა , რამაც შემდგომში გადამაწყვეტინა ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის არჩევა .

ყველაფერი, რაც მიყვარს და რაშიც სილამაზეს ვხედავ, ღმერთის შემოქმედებაა, ამიტომ ძალიან მინდოდა სასულიერო განათლება ყოფილიყო ჩემთვის ის სხივი, რომელიც ჩემს არსებაში ნათელს მოჰფენდა ადამიანთა შემოქმედების შინაარსს. ღრმად მწამს , რომ სულიერი მხედველობის განვითარება მომცემს შესაძლებლობას ჭეშმარიტად შევიგრძნო სინამდვილის შინაარსი და სასულიერო აკადემია და სემინარია სწორედ ამიტომ ავირჩიე ჩემი მომავალი ცხოვრების კარიბჭედ. ეს არის ადგილი, სადაც იმედით შემოვაბიჯე, რომ აუცილებლად შევძლებ ჩამოვყალიბდე პროფესიონალ ხელოვნებათმცოდნედ და აქ მიღებული ცოდნა მივმართო ღვთისა და მოყვასის სამსახუროდ.

ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი, ლანა ბერძენიშვილი

თბილისის 144-ე საჯარო სკოლაში სწავლის პარალელურად, ცოდნას ვეუფლებოდი გოეთეს უნივერსიტეტში.

სკოლის დამთავრების შემდეგ, 9 წელიწადს საბერძნეთში ვიმყოფებოდი. იქ როზარიოს აკადემიაში შევისწავლე ხატწერა და ბერძნული ენა. ასევე, „city de france“-ში ვეცნობოდი და ვითავისებდი საერთაშორისო ურთიერთობების ნიუანსებს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ვმუშაობ საჯარო რეესტრში.

ჩემი სურვილია, გავიღრმავო ცოდნა ქრისტიანულ ხელოვნებაში. სწორედ ამიტომ, დეკანოზ ჩახვაშვილის რჩევით, მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად მოვაშურე სასულიერო აკადემიას. გამოცდები წარმატებით ჩავაბარე და ვეცდები, ჩემი ცოდნა და უნარი სრულყო სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პედაგოგთა ლექციებით, პრაქტიკული მეცადინეობებით.

საეკლესიო არქიტექტურის, (ხუროთმოძღვრების), ხატწერის, დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის ფაკულტეტის სტუდენტი

დავით რუხაძე

დავიბადე ბათუმში, დეკანოზ სერგი რუხაძის და ეკატერინე მელქაძის ოჯახში. საშუალო განათლება მივიღე ბათუმის ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლაში და სურვილი გამიჩნდა, სწავლა გამეგრძელებინა თბილისის სასულიერო აკადემიაში. ეს სურვილი განაპირობა ჩემმა დამოკიდებულებამ და სიყვარულმა ხატვისა და ხატწერისადმი. ხატის წერა უდიდესი პატივი და, ამავდროულად, უდიდესი პასუხისმგებლობაა, ამიტომ მსურს საფუძვლიანად შევისწავლო ქართული და არამართო ქართული კულტურის, ტრადიციების და ქრისტიანული მოძღვრების დარგი-ხატწერა. მე ხატის წერა შემასწავლა პედაგოგმა ზურაბ აფხაზავამ, სამი წელი არის, რაც მასთან ვმეცადინეობ და ვცდილობ, მოვახერხო მისგან ნასწავლის რეალიზება. ვარ ბათუმის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მრევლი, ჩემი მოძღვარი არის მამა დავით მურცხვალაძე. მასთან ურთიერთობამაც დამაყენა თბილისის სასულიერო აკადემიისაკენ მომავალ გზაზე.

იმედი მაქვს, აქაური პედაგოგების ძალისხმევით საფუძვლიანად განვაავითარებ უფლისგან მომადლებულ ხატწერის ნიჭს.

**საეკლესიო არქიტექტურის, (ხუროთმოძღვრების), ხატწერის, დაზგური და მონუმენტური
ხატწერის რესტავრაციის ფაკულტეტის სტუდენტი
საბა წოწორია**

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ დავიბადე მართლმადიდებლურ ქართულ ოჯახში. დედა - მარინე ლეჟავა და მამა - გიორგი წოწორია მუშაობენ მართლმადიდებლურ სკოლაში. მყავს უმცროსი ძმა-სერაფიმი, რომელიც 5 წლისაა. მშობლებს პატარაობიდანვე დავყავდი ტაძარში, ვეზიარებოდი და 7 წლის ასაკში სტიქარით შემემოსეს. ღვთისმსახურებაში მონაწილეობის მიღება ჩემთვის დიდი პატივი იყო. საწყისი განათლება მივიღე წმინდა ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლურ სკოლაში. აქ ყოველი ორშაბათი იწყება ღვთისმსახურებით- პარაკლისით. საჯარო სკოლებისგან განსხვავებით, ვსწავლობდით ბიბლიას, საღვთო სჯულს. ძალიან ბევრი რამ მომცა კონკურსში „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ არაერთგზის მონაწილეობამ. სამტრედიის მართლმადიდებლურ სკოლაში ფუნქციონირებს ხატწერის წრე, რომელსაც უძღვება ორიგინალური ხელწერის მქონე ხატმწერი ელგუჯა ახობაძე. მასთან ურთიერთობამ გადაწყვიტა ჩემი სამომავლო არჩევანი. ჩემს სულიერ ჩამოყალიბებაში კი დიდი წვლილი მიუძღვის დეკანოზ რომანოზ ნინუას, ჩემს სულიერ მოძღვარს.

ყოველივე ამან გამიკვლია გზა სასულიერო აკადემიისკენ. სკოლაში სწავლის ბოლო წლებში ხშირად მიფიქრია, რაზე შემეჩერებინა არჩევანი. ისტორიაც მიტაცებდა და მინდოდა ისტორიკოსობა, ხატვაც ძალზე მიყვარს და ვფიქრობდი „აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემიაში“ ჩაბარებას, მაგრამ ხატწერისადმი ჩემი ინტერესი და სიყვარული ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა, ალბათ ეს ჩემი მოწოდებაა და დიდი იმედი მაქვს, თბილისის სასულიერო აკადემიაში სწავლისას დავეუფლები ყველა იმ ტექნოლოგიას, მეთოდოლოგიას და საიდუმლოს, რაც ამ სფეროშია დაგროვებული. დიდი სურვილი მაქვს, გამოვიმუშაო ორიგინალური და ჩემეული ხელწერა/

საეკლესიო არქიტექტურის, (ხუროთმოძღვრების), ხატწერის, დაზგური და მონუმენტური
ხატწერის რესტავრაციის ფაკულტეტის სტუდენტი
ლუკა სამხარაძე

18 წლის ასაკში დავამთავრე წმიდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების მართლმადიდებლური საეკლესიო სკოლა და საშუალება მომეცა სწავლა განვაგრძო თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში, საეკლესიო არქიტექტურის, სპეციალობაზე. ბავშვობიდან მიზიდავდა ეს სფერო. ვხატავ, ვხაზავ და ვსწავლობ კომპიუტერულ პროგრამებს. თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე. ჩემთვის არქიტექტურა უბრალოდ პროფესია არ არის, ის ხელოვნებაა და ძალიან საინტერესო საქმე. დარწმუნებული ვარ, ამაში სწორედ სასულიერო აკადემია და სემინარია დამეხმარება და ძალიან ამაყი და მადლობელი ვარ ბედისა, რომ მის კედლებში დავეუფლები ცოდნას. ვუსურვებ თითოეულ სტუდენტს წარმატებას და დასახული მიზნების განხორციელებას.

მისი ყურადღება და მზრუნველი სიტბო დღესაც მამშვიდებს

ცნობილი მოცეკვავე, წლების განმავლობაში სუბიშვილების ანსამბლის დიდი ოჯახის წევრი, თეა დარჩია დღეს მის მიერ შექმნილ ცეკვის სახელოსნოს ხელმძღვანელობს.

ქალბატონი თეა გაზეთ „კლიტე დავათისის“ მკითხველებს ესაუბრება თავის მრწამსზე და იმ დიდ სიყვარულზე, რასაც უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქის, ილია მეორისადმი განიცდის. სწორედ მართლმადიდებლურმა რწმენამ მიიყვანა იგი აჭარაში, ფერიას მთაზე დაარსებულ ბავშვთა სახლში, სადაც აღსაზრდელებს ცეკვას ასწავლის და გარკვეული დროით იქ ცხოვრობს ხოლმე.

თეა დარჩია:

იღუმენია სიდონიას ხელმძღვანელობით და მეუფე დიმიტრი შიოლაშვილის ხელდასხმით გახსნილ ბავშვთა სახლში ყველა პირობაა, რომ ნამდვილი ქართველი, ლაღი აზროვნების, ძალიან მოსიყვარულე ადამიანები გაიზარდონ. მომავალ თაობაზე ეკლესიის მესვეურთა მასშტაბური ზრუნვა ჩვენი პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის ძალისხმევის ნაყოფია.

მადლობა ღმერთს, რომ ჩვენი პატრიარქი არის შესანიშნავი მაგალითი მართლმადიდებლობის, მოთმინების, დათმენის, მიტევების, პატიების, მდუმარების და თავგანწირვისა ერისა და ბერისათვის.

საქართველოსთვის მძიმე პერიოდში უწევს მას მართლმადიდებლური ეკლესიის საჭეთმპყრობლობა. და ის, რომ ფენიქსივით განაახლა თექვსმეტსაუკუნოვანი ქართული ეკლესიის ცხოველმყოფელობა, მართლაც რომ საოცარი და საკვირველია. მართლაც სასწაულია ეს განუზომელი ძალისხმევა და უშრეტო ენერჯია, მისგან მოგებებული სიყვარული!

ყოველივე ამის არცოდნა, არდაფასება არა მხოლოდ დიდი უმადურობაა, წარმოუდგენელი სიბრმავეცაა. მართალია, ასეთნი ჩვენს გვერდით მცირენი არიან, მაგრამ ფაქტია, რომ არიან და ვისურვებდი, გონს მოეგონ და ღმერთი აღარ განიკითხავთ.

ჩემი პატრიარქი ჭეშმარიტი მაგალითია ქრისტესმიერი სიყვარულისა. ეს უპირველესყოფლისა მე მასში დავინახე, ვხედავ და დღითიდღე მიმტკიცდება რწმენა, რომ ჩემი შეხედულება, რაც წლების წინ ჩამომიყალიბდა, სულ უფრო და უფრო მყარდება.

ის ხომ თითოეულ ჩვენგანზე ზრუნვით სულდგმულობს, უჩინრად ფიქრობს ჩვენზე, სწორედ ამის ერთ წარმოუდგენელ მაგალითს გავანდობ თქვენი გაზეთის მკითხველს: ერთ დღეს ჩემს სახლში ტელეფონის მოულოდნელი ზარი გაისმა, ყურმილი ავიღე და გავვოცდი: პატრიარქი მირეკავდა... დამლოცა და მშვიდობა მისურვა. იმ დღეს ჩემზე ბედნიერი არავინ მიმაჩნდა მთელ სამყაროში. ჩემი მესამე და მეოთხე შვილის ნათლიის ასეთი ყურადღება და მზრუნველი სიტბო დღესაც მასულდგმულებს და მამშვიდებს.

მან მამულის სიყვარული გვასწავლა

მე იმ ბედნიერთაგანი ვარ, ვინც სვეტიცხოვლის წმინდა ტაძარში უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის პატრიარქად აღსაყდრებას დაესწრო. ამ ნანიანატრ წუთებს წლების განმავლობაში ელოდა ქართველობა. ეს იყო დაუვიწყარი დღე, სულის ზეიმი, ქრისტეანთა იმედის მომცემი - ახლაც ჩამესმის დედაჩემის ხმა - „მგონი, გვეშველა, გვეშველა, საქართველოს მოქცევა დაიწყო, რა გადავიტანეთ...“ დედას ჩემი ნათლობა გაახსენდა: მიუხედავად იმისა, რომ ბებუის - მარო თარხნიშვილის თხოვნით, უწმინდესმა კალისტრატემ თითქოს სხვა თვალთათვის შეუმჩნევლად მომნათლა, ამბავმა „გაჟონა“ და მამა კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელის გამო კინაღამ სამსახურიდან გაათავისუფლეს.

უწმინდესი ილიას აღსაყდრების დღიდან, სხვა სიომ დაჰქროლა - იგი ანდამატივით იზიდავდა ირგვლივ მყოფთ, მასთან სიახლოვეს ესწრაფვოდა ყველა - მორწმუნე თუ ურწმუნო და, თქვენ წარმოიდგინეთ, ათეისტებიც კი, რომლებიც თავიდან ყოველგვარი სწავლებისა თუ აგიტაციის გარეშე სიკეთის კეთებით მიიყვანა უფლამდე. ახლაც მესმის უწმინდესის ნაბრძანები: სიტყვით, საქმით, ყველგან და ყოველთვის აკეთეთ სიკეთე, იგი თქვენვე დაგიბრუნდებათ. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მამულის სიყვარული ბევრმა მაშინ ვისწავლეთ - მტრის შემულების გარეშე. განუწყვეტლივ ხმიანობდა დიდი ილიას სიტყვები: „მამულის სიყვარული ყველგან მსხვერპლს მოითხოვს“. უწმინდესმა შრომა გვასწავლა, შრომა შეგვაყვარა..

თამამად შემოიძლია განვაცხადო, რომ 80-იანი წლებიდან ასე წარმოუდგენლად რომ იმძლავრა ეროვნულმა მოძრაობამ, ესეც, უპირველესად, ჩვენი უნეტარესი ილია II-ის დამსახურებაა. დიდი დრო გავიდა, სიხარულითა და ცრემლით სავსე დღეები, ტკივილიანი დღეები... იმედად ისევ უწმინდესს მივაპყრობთ მზერას.

უწმინდესის სიწმინდემ მაჩუქა შვილიშვილის სიცოცხლე. და მაშინაც კი, როდესაც ჩემს ოჯახში სიკვდილმა შემოაბიჯა, პატრიარქის სიტყვები იყო ჩემი გონს მომყვანი... ჩვენო პატრიარქო, ჩემო პატრიარქო, ჩემო სულო და გულო, იჯანმრთელეთ, იდღეგრძელეთ, გვიყვარხართ!

თინათინ ყალიჩავა

საღვთისმეტყველო წერილები:

„ქართლის ცხოვრებაში“ ღაცული ერთი საკვირველი ცნობის მართებულად გაანგრაბისთვის

ირაკლი ორჟონია

ისტორიული მატთანე „ქართლის ცხოვრება“ ერთგან მოგვითხრობს წმინდა ნინოსა და მისი თანმხლები პირების სომხეთში ჩასვლის შესახებ, სადაც რიფსიმე, გაიანე და მათი თანამეგზური მრავალი ქალწული ადგილობრივი მეფე თრდატის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აღნიშნული მოვლენების შემდეგ გახმოვანებული ცნობა: „**მალთა ღმრთისათა იჰმნა იჰჰა თრღატ იჰჰაღ**“ (ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 84).

დავაკონკრეტებთ, რომ დამოწმებული წყაროს თანახმად, უკეთურების მოქმედი მეფე თრდატი საღვთო სასჯელის ქვეშ მოექცევა და ქრისტეს რჯულს შედგომილი მართალი ადამიანების მოკვდინების მიზეზით ღორად (ძველი ქართულით „**ეშუად**“) გადაიქცევა.

ამგვარი მითითება, სანდოობის კუთხით, გარკვეულ კითხვის ნიშნებსა თუ სკეპსისს წარმოშობს და ისტორიკოსის უწყება, ბუნებრივია, რომ არარეალურ, ზღაპრისმაგრავ გადმოცემად აღიქვას მკითხველმა. **მაშ, როგორ უნდა გვესმოდეს ღონტი შროველის მიერ მოთხრობილი ამბავი? არის შესაძლებელი, სინამდვილედ გაეიზროთ ის? იქნებ მითოლოგიურ რამ მოვლენასთან გვაქვს საქმე? ეძებნება კი მას რაიმე სახის ანალოგი კაცობრიობის ისტორიაში?**

შევნიშნავთ, რომ საეკლესიო წყაროების შესწავლის შედეგად დასმულ შეკითხვებს სრულიად მკაფიო პასუხი გაეცემა და ზემოდამოწმებული, ერთი შეხედვით, მისტიკური შინაარსის ცნობა ლოგიკურად აიხსნება. საქმე ისაა, რომ მეფე თრდატის „ეშუად“ გადაქცევის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ამბავი არა მხოლოდ ქართული მატთანის მონაცემია, არამედ აღნიშნული უწყება ბერძნულენოვანი პატრისტიკული წყაროთიც დასტურდება. კერძოდ, სექტემბრის თვის მეტაფრასების ძველი ქართული თარგმანით, რომლის პირველწყარო, თავისთავად ცხადია, ბერძნული მეტაფრასული კრებულის შესაბამისი ტექსტია, შემონახული არის წმინდა გრიგოლ პართელის ცხოვრება და მასში ვრცლადაა მოთხრობილი იგივე ისტორია: სომეხთა მეფის - თრდატის მიერ რიფსიმეს, გაიანესა და რამდენიმე ათეული ქალწულის მიმართ გამოვლინილი სისასტიკე და აღნიშნულის მიზეზით ხსენებული მონარქის ღორად („ეშუად“) გადაქცევა.

ხაზგასასმელია, რომ წმინდა გრიგოლის ჰაგიოგრაფი თრდატზე საუბრისას პარალელს წმინდა წერილთან ავლებს და სომეხთა მეფის თავს გადამხდარი საკვირველების ანალოგს ნაბუქოდონოსორის უძღურების თაობაზე თხრობაში ხედავს (იხ. დან. 4). აი, სექტემბრის მეტაფრასში დაცული სათანადო ადგილი: „**ხოლო ამისსა შემდგომად წარ-რად-ჯდეს ექუსნი დღენი და დატნებოდა თრღატ ცეცხლითა გულისთქუმისაჲთა, განიზრახა განსლვად ნადირობად და განეშმადა რად და აღმჯედრდა, მყის განვიდა ქალაქით. ხოლო სასჯელმან არა დაიყოვნა, არამედ მყის ბრძოლა-ყყო მას სიბორგილით და ვითარცა ეშმაკეული ბორგდა და სრულიად უფლებულ იყო სენისგან ბორტისა და კბილითა მოიჭამდა ჯორცთა თუსთა და შემხვალმხულ იჰმნა სახისგან კანტამსა სახელ ღორისა. ღა რომელი არა შემხარ არს ნაბუქოდონოსორისსა მას სახისა შემხვალმხასა, მის ზამო მსწამნ სახმან თრღატისი მისითაჲმ შემხვალმხითა შემხვალმხულისაჲ, რამითუ მისსაჲმ უმჯამხასა ღა უწმომხასა იჰმომღა ღა მასჲმ სიბორტმხსა. და იყო გარეშე (გარეგანი იერი; ი. თ.) თრღატისი ღორ და განმაცხადებულ შინაგანისა მის ველურებისა და მწურისა გულისთქუმათაჲსა და სხუსა მის ღორებრივისა სულისა და ქცევისა თანა სახე ექმნა შეცვალებადცა ხატისაჲ. და არა ხოლო თრღატს შეემთხუა სიბორტე ესე საქმისაჲ, არამედ მის თანა მჯედართაცა მისთა და რაოდენნიცა იყვნეს მთავართაგან და მოქალაქეთა თანაზიარ კადნიერებისა მისისა, იგინიცა აღსავსე იქმნნეს ეშმაკეულებითა. ხოლო სხუათა მათ ერთა აქუნდავე ზარი და შიში და ვნებულთა მათ განყურებისა წადიერებაჲ და სამარადისოჲ ზრუნვად თავთა თუსთაჲ და წადიერ იყვნეს, რადთა არა მათცა ეგრეთვე მსგავსად შეემთხუს, და კუაღად ისწრაფდეს, რადთა მძიჲდ**

ვნებულთა ალუსუბუქლეს და სენისა მისგან განთავისუფლდენ“ (ძველი მეტაფრასული კრებულები, სექტემბრის საკითხავები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ნარგიზა გოგუაძემ, თბილისი, 1986, „ცხოვრება და მოქალაქობა და ამისა შემდგომად წამება წმიდისა მღვდელმოწამისა გრიგოლი პარტეველისა“, გვ. 485-486).

დამოწმებულ ტექსტს თეზისების სახით შევაჯამებთ: 1. ჰაგიოგრაფის თანახმად, მსგავსად ნაბუქოდონოსორისა, თრდატიც იმავე უძლურებით იქნა შეპყრობილი და საკუთარი უკეთურებების გამო მოცემულ შემთხვევაში „ეშუად“ (ღორად) გადაიქცა; 2. გარდა ფიზიკური სენისა, აღნიშნული მდგომარეობის გამომწვევ მიზეზად შეპყრობილობა (ემშაკეულობა) სახელდება; 3. წმინდა გრიგოლ პართელის ცხოვრების აღმწერილი თრდატის „ეშუად“ გადაქცევაში, პირდაპირი მნიშვნელობით გააზრების პარალელურად, სიმბოლურ შინაარსსაც ჰვრეტს და ხაზგასმულ ისტორიას სომეხთა მეფის ვნებამორეული შინაგანი სამყაროს მდგომარეობის წარმომჩენ მოვლენად აღიქვამს; 4. ტექსტის მიხედვით, თრდატთან ერთად იგივე სნეულება მისი ბოროტმოქმედების თანაგანმზრახ პირებსაც შეეყრება (აღნიშნულის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ არაფერია ნათქვამი).

გავიმეორებთ, რომ ზემოდამოწმებული მეტაფრასული კრებულის თანახმად, სომეხთა მეფის გაეშვება (ღორად გადაქცევა) დანიელის მიერ მოთხოვნილი ამბის ანალოგიურია. კერძოდ, ხსენებული საწინასწარმეტყველო წიგნის მეოთხე თავი ბაბილონელი მეფის დასნეულებისა და მოგვიანებით განკურნების ამბავს გვამცნობს. აი, შესაბამისი ადგილი: „**ჳმად იყო ჳეციო-გარდამო და თქუა: ჳენ გერქუმის, ნაბუქოდონოსორ, მეფობად ჳენი წარვიდა ჳენგან. და კაცთაგან განგდევნონ ჳენ და ჳეცთა თანა ვეღისათა იყოს ჳეკდრობად ჳენი. თივასა, ვითარცა ჳროხასა, გაჭამებდენ ჳენ. და ჳედნი ჳჳმნი იცეაღნენ ჳენ ჳედა, ვიდრემდე სცნა, რამეთუ მალაღი უფულებს მეუფებასა ჳედა კაცთასა, და ვისა უნდეს, მისცეს იგი. მასვე ჳჳმსა შინა აღესრულა ნაბუქოდონოსორის ჳედა და კაცთაგან განიღვნა. და თივასა ვითარცა ჳროხად ჳამდა და ცუარისაგან ცისა ჳორცნი მისნი შეიღებნეს, ვიდრემდის თმანი მისნი, ვითარცა ჳომისანი იქმნნეს, და ფრცხილნი მისნი, ვითარცა მფრინველისანი**“ (დან. 4. 31-33).

როგორც წარმოდგენილი წყარო გვაუწყებს, ძლევამოსილი ქალდეველი მეფე საღვთო განჩინებით ადამიანურ შესაძლებლობებს დაკარგავს, იერს შეიცვლის, უნარებითა და ვიზუალთ კი შვიდი ჳამის განმავლობაში პირუტყვს დაემსგავსება, რის შემდეგაც განიკურნება და ძველი ცხოვრების წესს დაუბრუნდება.

საგულისხმოა, რომ გრიგოლ პართელის ცხოვრების მიხედვითაც მეფე თრდატი ხსენებული წმინდანის ლოცვით, მსგავსადვე, კურნებას დაექვემდებარება (იხ. ძველი მეტაფრასული კრებულები, სექტემბრის საკითხავები, გვ. 486-487).

მაშ, როგორ შეიძლება განიმარტოს, ერთ კონტექსტში განხილული ორი მოვლენა - ერთი მხრივ, ბაბილონელ მონარქთან დაკავშირებული ბიბლიური ისტორია და, მეორე მხრივ, სომეხთა მეფეს თავსგადამხდარი ამბავი?

შესაბამის ლიტერატურაში მითითებულია, რომ არსებობს სნეულების ფორმა სახელწოდებით **«ზოლანთროპია»**. დამოწმებული ტერმინი კომპოზიტია, ორი ბერძნული სიტყვისგან შედგება: **ζῷον (ცხოველი)** და **ἄσθρῶπιος (აღამიანი)** და მოცემულ შემთხვევაში დაავადების შედეგად პაციენტის ფსიქო-სომატური მდგომარეობის დეგრადაციას და, დაავადების ტიპის მიხედვით, ადამიანში გარკვეული ცხოველური ინსტინქტების გამოვლენას თუ ვიზუალის ცვალებადობას გულისხმობს, რაც, თავის მხრივ, მრავალი დაკონკრეტებული ქვესახეობით მიმდინარე პროცესია. მაგალითად, **ზოლანთროპიის** ფორმები შეიძლება იყოს **«ლოკანთროპია» (λύκος და ἄσθρῶπιος - მგელი და აღამიანი)**, **«კინანთროპია» (κύων და ἄσθρῶπιος - ძაღლი და აღამიანი)**, **«ოფიდიანთროპია» (ὄφις და ἄσθρῶπιος - გველი და აღამიანი)**, **«გალენთროპია» (γαλήνη და ἄσθρῶπιος - კატა და აღამიანი)**, **«ბატრაქიანთროპია» (βάτραχος და ἄσθρῶπιος - ბაყაყი და აღამიანი)**, **«ჰიპანთროპია» (ἵππος და ἄσθρῶπιος - ცხენი და აღამიანი)**, **«ორნიანთროპია» (ὄρνις და ἄσθρῶπιος - ფრინველი და აღამიანი)**, **«ჰუანთროპია» (ῥῖς და ἄσθρῶπιος - ღორი და აღამიანი)** და ა. შ.

ზოლანთროპიის ქვეშ გაერთიანებული ყველა ხსენებული დაავადების დამახასიათებელი თვისება ადამიანის მიერ შესაბამის ცხოველად საკუთარი თავის აღქმა, უტყვი არსებების კონკრეტული სახეობისთვის


ნიშანდობლივი უნარების ყოფით ცხოვრებაში გამოვლენა და ხშირ შემთხვევაში გარეგნობის მკვეთრი ცვალებადობა.

საგულისხმოა, რომ ჰეროდოტე საეკლესიო ისტორიაში (წიგნი მეოთხე) ყვება ერთ-ერთ ეთნიკურ ჯგუფზე, რომ ისინი ჟამითი ჟამად მგლებად გადაიქცეოდნენ, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ კვლავ უბრუნდებოდნენ ადამიანურ მდგომარეობას (ხსენებულ მოვლენაში ზოოანთროპიის ერთ-ერთი ფორმა - ლიკანთროპია იგულისხმება). როგორც შესაბამის ლიტერატურაშია მითითებული, ახ. წ. აღ-ის XIV-XV საუკუნეებში აღნიშნული სნეულება ევროპის ტერიტორიაზეც ყოფილა გავრცელებული.

მედიკოსების მტკიცებით, **ზოოანთროპია** არის დაავადება, რომელიც რიგ შემთხვევაში თავისთავად კურნებას ექვემდებარება და, მსგავსად გარკვეული უძლურებებისა, უკვალოდ აღმოიფხვრება, დაავადებულს კი გონების სიმრთელე და გარეგნული იერის სიჯანსაღე უბრუნდება.

ამდენად, წმინდა წერილსა თუ ქართულ ისტორიულ მატრიანეში დაცული თხრობა, - ერთი მხრივ, ქალდეველი მონარქის, ნაბუქოდონოსორის, გაცხოველება და, მეორე მხრივ, სომეხთა მეფე თრდატის „ეშუად“ (ლორად) გადაქცევა და ორივე შემთხვევაში მათი განკურნება, - არათუ მითი, ლეგენდა, ანთუ დაუჯერებელი რამ მოვლენაა, არამედ სამედიცინო პრაქტიკაში უძველესი დროიდან კარგად ცნობილი ფსიქო-სომატური პათოლოგიის ქვესახეობები, რომელთა საზოგადო, გამაერთიანებელი და კრებსითი სახელი «**ზოოანთროპია**» იწოდება.

გამოთხოვება დავით დვალაძესთან



უნივერსალური ოსტატის ნიჭით:

ხუროს,

დურგლის,

ზეინკლის,

ელექტროობის სპეციალობის...

ოჯახში განსწავლულ-განათლებულობით;

მოკრძალებით უფროსთან და უმცროსთან;

თავდადებით - არამხოლოდ საქმისადმი, ნაცნობისა და უცნობებისადმი;

პასუხისმგებლობით - მუდამ მზადყოფნა დავალების, (და არამხოლოდ), ნებისმიერი თხოვნის შესასრულებლად - ასეთი პიროვნული ხიბლი ამშვენებდა და პატივს დებდა კოლეგების, ხელმძღვანელთა, მეგობართა, თანამოსაქმეთა თვალში.

შარშან 70 წელი შეუსრულდა.

უხმაუროდ.

წელს კი...

მისი მოულოდნელად გარდაცვალებით სასულიერო აკადემიისა და სემინარიის თანამშრომლებს საყოველთაო გლოვის დღეები დაუდგათ.

წესი აეგო და პანაშვიდი აღესრულა სიონის საკათედრო ტაძარში...

დავით დვალაძე დააკლდა ყველას და ეს გულისტკივილი საყოველთაოა.

1994 წელს მოვიდა დავითი სასულიერო აკადემიაში. ერთი წელი კომენდანტად იმუშავა, შემდეგ აუცილებლობამ მოითხოვა და მისი პროფესიით - დურგლად განამწესეს, ბოლო წლებში დაცვის სამსახურის უფროსის თანამდებობა ეკავა..

თუმცა, სასწავლებლისათვის საჭირო ყველა ტექნიკურ საქმეს ასრულებდა.

უაღრესი მწუხარებით ვემშვიდობებით - ჩემ, უპრეტენზიო, მართალ, ყველას მხარში მდგომ პიროვნებას, ჩვენ დათოს, რწმენით, რომ ნათელში დავანდება მისი სული.

გივი შეყილაძე

ლია სალაყაიას ხსოვნას



1965 წელი. სექტემბერი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ვრცელ სპორტულ დარბაზში ფიზკულტურის აკადემიური გაკვეთილების აკომპანიატორობა 19 წლის ლია სალაყაიას მიანდეს.

ეს იყო მისი მუსიკალური ცხოვრების დიდი გზის მოკრძალებული დასაწყისი. 2 წლის შემდეგ ქალბატონი ლია პედაგოგის კეთილშობილურ საქმიანობას შეუდგა და სიცოცხლის ბოლომდე ემსახურა თაობების მუსიკალურ აღზრდას.

იყო პედაგოგი თბილისის 75-ე საშუალო სკოლაში, თბილისის 147-ე საშუალო მუსიკალურ ათწლედში, თბილისის მე-7 სამუსიკო სკოლაში, ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიასთან არსებულ ექსპერიმენტულ სამუსიკო სასწავლებელში, ევგენი მიქელაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში...

1980 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე სიონის საკათედრო ტაძრის სამრევლო სკოლას ხელმძღვანელობდა.

ლია სალაყაიას განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტთა მუსიკალურ განათლებაში, კერძოდ, სტუდენტებში კანონიკური საეკლესიო გალობის პოპულარიზაციაში. ის იყო მოწვეული პედაგოგი და, როგორც გალობის გუნდის ხელმძღვანელის თანაშემწე, ახალგაზრდებს აუფლებდა ქართული საეკლესიო გალობის საიდუმლოებებს.

ქალბატონი ლიას მრავალი ნაშეგირდალი დღეს ეკლესია-მონასტრებში გალობს და აშინაარსიანებს მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებას.

ჩვენმა საზოგადოებამ ღირსეული პატივი მიაგო ქალბატონი ლიას ხსოვნას.

ამის მკაფიო მაგალითია თუნდაც ის წერილი, რომელიც ბატონმა მალხაზ ერქვანიამ რედაქციას მიაწოდა.

მალხაზ ერქვანია:

ქალბატონი ლია სალაყაია 35 წლის წინათ გავიცანი. მანამდე მისადმი კეთილგანწყობილთაგან მესმოდა ქალბატონი ლიას ნიჭსა და უნარებზე. ვიცოდი, რომ გალობდა სიონის საგალობლებს.

სანამ ჩვენს ეკლესიაში კანონიკური გალობა აღდგებოდა, ეგრეთწოდებული ქალაქური საშემსრულებლო სტილით გალობდნენ. როცა ანჩისხატის ტაძარში დავიწყეთ კანონიკური გალობის აღდგენა, პირველი ქალბატონი ლია გამოგვეხმაურა, მოვიდა ჩვენთან და მხარში დაგვიდგა. ძალიან ჭკვიანმა და გონიერმა, უარი თქვა თავის საშემსრულებლო სტილზე, გამოგვიცხადა - გულწრფელად მიიღეთ ჩემი მსახურება, მთელ საქართველოში გავავრცელოთ კანონიკური საგალობლებიო - და თავდაუზოგავად შეუდგა ჯერ თბილისში, შემდეგ მთელ საქართველოში მის დანერგვას.

სიონის ტაძართან რომ სახლია, მაშინ მასში პატრიარქის რეზიდენცია იყო, როცა უწმინდესი და უნეტარესი დღევანდელ რეზიდენციაში გადაბრძანდა, გალობასა და ხატწერას დაუთმო ეს შენობა.

სწორედ აქ მოიზიდა ქალბატონმა ლიამ უამრავი სტუდენტი, მას ჰქონდა კომუნიკაციის, ახლობლობის, თანადგომის განსაკუთრებული ნიჭი. საოცარი სიტბოს, დიდი სიყვარულის გულწრფელად გამოვლენის უნარი, და მისი შეგირდები სიხარულით ეუფლებოდნენ კანონიკური გალობის ნიუანსებს. ქალბატონმა ლიამ პირადად მე შემიცვალა შეხედულება „უსმენობისა და სმენიანების“ მიმართ. მან დაამხო მითი, რომ უსმენობს არ შეუძლიათ სიმღერა და გალობა. მისი ბევრი ასეთი მოწაფე, ადრე დაწუნებული, ისე ამღერდა, კვალიფიციურ ანსამბლებშიც კი მოხვდა.

ვიმეორებ, ამ უნიკალური პიროვნების აურა ყველგან სიყვარულისა და სიტბოს დამამკვიდრებელი იყო, ჩვენ ისე ვახლობლობდით, მეგონა, კარგად ვიცნობდი, მაგრამ, როცა გარდაიცვალა, იმდენმა პიროვნებამ წარმოაჩინა მისი მრავალმხრივი სიკეთე და გამოთქვა გულწრფელი სინანული ქალბატონი ლიას იმქვეყნად წასვლის გამო, და, საერთოდ, ხალხისაგან მისი გულწრფელი მონატრება რომ გავითავისე, დავრწმუნდი, თურმე ბოლომდე კარგად არ ვიცნობდი. გამორჩეული და მონაზვნურად მცხოვრები ამ ქალბატონის შემცვლელს დღევანდელ საქართველოში ვერ ვხედავ.